MES 2 22 0000833946

22/07/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 12 ივლისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87459689038?pwd=ZWtIVStMeE5pcUl5V05yYmI2ZXdrZz09

Meeting ID: 874 5968 9038
Passcode: 486321

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი/საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საოზოგადოების (GiZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, ექსპერტი/საბჭოს წევრი;
გიორგი ხიშტოვანი- ა(ა) იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი /საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია- - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე/საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი- ა(ა) იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
ქრისტინარზგოევა- სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი/საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე/საბჭოს მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინოსტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნია გუგუნავა- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი
ამირან ტაკიძე - დირექტორი
მანანა ხაბაძე - დირექტორის მოადგილე სტრატეგიული განვითარების და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

სულხან სულხანიშვილი - დირექტორი
თინათინ ენდელაძე-დირექტორის მოადგილე

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ანზორ დიასამიძე - გენერალური დირექტორი
რუსუდან დიასამიძე - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
გურამ ქათამაძე - პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი
ნათია დიასამიძე - ადამიანური რესურსების მენეჯერი
მაია დავითიანი - სასწავლო პროცესის მენეჯერი

სსიპ- კოლეჯი „მოდუსი“

ნინო ქავთარაძე - დირექტორი
დირექტორის მოადგილე - მაია დალაქიშვილი
დირექტორის მოადგილე - დიანა გოშაძე
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
ნინო მთვარელიძე - კოლეჯ „მოდუსი“ მარნეულის მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ რემიშვილი
ნინო გორგოშაძე
ნინო თამაზაშვილი
ნინო ბოკუჩავა
ნიკა ჯაფიაშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის დამატებით განხილვა;
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 მარტის №258868 ოქმის მე-12 საკითხად განხილული საკითხის - „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი“ მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება (საგანმანათლებლო პროგრამები, მონიტორინგის ფარგლები, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი და მონიტორინგის განხორციელების ფორმა);
3. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

1. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის დამატებით განხილვა;

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა.
მისი განცხადებით, ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორცილებული მონიტორინგის შედეგები განხილული იყო 10 ივნისის საბჭოს სხდომაზე. მისი თქმით, საბჭოს

წევრებმა იმსჯელეს, როგორც ღია ფორმატში, ასევე გამოიყენეს სათათბირო დრო, თუმცა გადაწყვეტილება მიღებული არ იყო, ვინაიდან საჭირო გახდა დამატებითი მოკვლევა. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა შეახსება საბჭოს წევრებს, რომ დაწესებულებამ ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილი იყო, როგორც აქტივობები, ასევე შესაბამისი რესურსები და პასუხისმგებელი პირები, ამ აქტივობების განსახორციელებლად. ამითომ ყველა გეგმაში წარმოდგენილი ყველა კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილი შესაბამისობა“ და დადგა საკითხის შესაბამის კომპონენტებზე მონიტორინგის ჩანიშვნის თაობაზე, თუმცა მისი თქმით, ერთი საკითხი ღიად დარჩა, კერძოდ ექსპერტების მიერ ხარვეზად დაფიქსირებული საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის არ არსებობა. შესაბამისობის გეგმაში ეს საკითხი არ იყო წარმოდგენილი. თუმცა მისი თქმით დაწესებულების წარმომადგენლებმა სხდომაზე განაცხადეს, რომ პირველ ივნისს, ანუ სხდომამდე ათი დღით ადრე, მათ გაგზავნილი ჰქონდათ შესაბამის უწყებაში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესათანხმებლად, თუმცა ამ აქტივობის დაწყება არ იყო ასახული შესაბამისობის გეგმაში.
ნანი დალაქიშვილმა, აქვე აღნიშნა რომ საბჭომ დაწესებულებას გაუწია ანგარიში და დაავალა ცენტრს, რომ დამატებითი მოკვლევა ჩაეტარებინა და გამოეკვლია ამ დაწესებულებას მართლა ჰქონდა თუ არა ეს ნაბიჯი გადადგმული, წარედგინა დაწესებულებას საბჭოსთვის, შესაბამისი მტკიცებულება და ამის შემდეგ განაგრძობდა საბჭო მსჯელობას და მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება, ამ მონიტორინგის ფარგლებში.
მან აღნიშნა, რომ ოქმის გამოქვეყნების შემდეგ, მათ მიმართეს დაწესებულებას, 27 ივნისს კი დაწესებულებამ ცენტრს გადმოუგზავნა წერილი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მათ მართლაც მიმართული ჰქონდათ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის, მართვის გეგმასთან დაკავშირებით, რითაც შეიძლებოდა აღნიშნული გადასულიყო მეტწილ შესაბამისობაში, ნანი დალაქიშვილის თქმით, ეს მხოლოდ სამსახურის მოსაზრებაა, თუმცა, იქვე აღნიშნა რომ 7 ივლისს დაწესებულებამ, ისევ მიმართა ცენტრს, სადაც იმეორებს ამ საკითხთთან დაკავშირებით, მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, ასევე წერილში აღნიშნული იყო რომ გაუმჯობესების გეგმაში, მათ ეს საკითხი შეიტანეს, განმეორებით წარუდგინეს ცენტრს, თუმცა მისი თქმით გაუმჯობესების გეგმაში,რამდენიმე აქტივობის ვადები არის შეცვლილი, რის თაობაზეც მოითხოვა დაწესებულების განმარტება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, მანანა ხაბაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მანანა ხაბაძე დაეთანხმა ნანი დალაქიშვილს და აღნიშნა, რომ მათ მართლაც გამორჩათ ტექნიკურად შესაბამისობის გეგმაში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებული აქტივობების ასახვა, თუმცა მათ, მართლაც აქვთ ყველა ის მტკიცებულება, რითაც დასტურდება, რომ დაწყებული ჰქონდათ ყველა ის აქტივობა, რაც აღნიშნულს შეეხებოდა, რაც შეეხება ვადებს, განმარტა, რომ როდესაც მათ პირველ ივნისს გააგზავნეს მიწერილობა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, მათ საპასუხოდ მიიღეს დავალების გეგმა, რომელშიც გაწერილია ტარიფები და მოთხოვნები, ამიტომაც, დაწესებულებას დაუდგა, ის მომენტი რომ გათბობასთან დაკავშირებული ის ვადები შეეცვალა, რაც წინა გაუმჯობესების გეგმაში იყო მითითებული. მისი თქმით ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა და ამიტომაც ვერ ჯდებოდნენ არსებულ ვადებში. მანანა ხაბაძემ აღნიშნა რომ დაკორექტირებულ გეგმაში, რომელიც ცენტრს უკვე გადაუგზავნეს, არის მითითებული, რომ გათბობასთან დაკავშირებით მათ მოუწიათ ორი თვით ვადის გადაწევა, რაც გაზრდილ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ნანა ყუფუნიამ დაწესებულების დირექტორის მოადგილეს განუმარტა, რომ ვადის შეცვლით ირღვევა პროცედურული ნაწილი, ამიტომ აღნიშნული, ახლა ვერ იქნებოდა განხილული საბჭოს ფორმატში, რადგან მათ უკვე ჰქონდათ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რამდენად მართებულად მიაჩნიათ ასეთი ცვლილებების განხორციელება, რომელ სისუსტეზე მიუთითებს და აქვს თუ არა ამას კავშირი დაწესებულების ხარისხთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ, რა თქმა უნდა ცვლილება არ არის მართებული, ეს დაკავშირებული იყო მხოლოდ ბიუჯეტთან, მისი თქმით, სხვა მხრივ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ დაწესებულება მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.
შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ როდესაც 10 ივლისის საბჭოს სხდომაზე საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას ამ საკითხთთან დაკავშირებით, მათ გულდასმით შეისწავლეს საკითხი, პირველ რიგში გამოკითხეს ექსპერტები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მათ ჰქონდათ საუბარი დაწესებულებასთან, როდესაც შეუსაბამობების საკითხებს განიხილავდნენ და სხვა საკითხებთან ერთად საუბარი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან უსაფრთხოების გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით და ექსპერტებიც გაკვირვებულები იყვნენ, თუ რატომ არ მოხდა ეს საკითხი გაუმჯობესების გეგმაში. შორენა ჯაფარიძემ, იქვე დასვა კითხვა, აღნიშნული გაზრდილი 2 თვე, 6 თვის ინტერვალში ჯდებოდა თუ დამატებითი იყო.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ჯდებოდა ექვსთვიან ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში(ს/კ:245409838) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, 1.2; 4.1; 4.2; 5.1; 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვროს 2022 წლის 10 ოქტომბერი, მონიტორინგის ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში იმ დროისთვის არსებული კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 მარტის №258868 ოქმის მე-12 საკითხად განხილული საკითხის - „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი“ მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება (საგანმანათლებლო პროგრამები, მონიტორინგის ფარგლები, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი და მონიტორინგის განხორციელების ფორმა);

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განმარტებით, საკითხი ეხებოდა საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორცილებული მონიტორინგის, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება მიღებულია 2022 წლის 15 მარტის ოქმით. საბჭომ მიმართა ცენტრს მონიტორინგის შუამდგომლობით ყველა სტანდარტის იმ კომპონენტებზე, რომლებშიც დაფიქსირდა მეტწილი შესაბამისობა. ნანი დალაქიშვილის თქმით, არ იყო თარიღი მითითებული და ასევე, არც ჩანაწერში იყო მსჯელობა თარიღთან დაკავშირებით, ასევე განხორციელების ფორმისა და ფარგლების კონკრეტიკასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, 9 აგვისტოს შემთხვევაში ეტეოდა თუ არა დაწესებულება ვადებში.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ ვადაში ეტეოდა და მიმართა სამსახურის მთავარ სპეციალისტს ნია გუგუნავას დაეზუსტებინა კონკრეტულად რომელ კომპონენტებში განხორციელდებოდა მონიტორინგი.

ნია გუგუნავას განმარტებით, მონიტორინგი ჩაინიშნა 1.2; 3.2; 4.2; 5.1; 5.2. კომპონენტების, ასევე, ვებტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამებზე 2.3 კომპონენტის შემოწმების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 მარტის №258868 ოქმის მე-12 საკითხად განხილული საკითხის - „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი“ მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების (საგანმანათლებლო პროგრამები, მონიტორინგის ფარგლები, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი და მონიტორინგის განხორციელების ფორმა) შესახებ საკითხი.
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, 1.2; 3.2; 4.2; 5.1; 5.2. კომპონენტების, ასევე, ვებტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ორივე პროგრამაზე 2.3 კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვროს 2022 წლის 9 აგვისტო, მონიტორინგის ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში იმ დროისთვის არსებული კოვიდ სიტუაციიდან გამომდინარე.

3. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა, სიტყვა გადასცა თამარ რემიშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტი მიესალმა საბჭოს წევრებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი მონიტორინგის მიზნით განხორციელდა 2022 წლის 30-31 მაისს, მისი თქმით გადაწყვეტილება მონიტორინგის შესახებ მიღებული იყო საბჭოს შუამდგომლობით, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი მიზანი იყო შეემოწმებინათ, სტანდარტის ის კომპონენტები, რომლებიც წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეფასდა, როგორც მეტწილიშესაბამისობა, ეს იყო პირველი სტანდარტის 1.2. კომპონენტი, მეოთხე სტანდარტის 4.1 და მეხუთე სტანდარტის 5.2 კომპონენტი, ასევე პროგრამულ ნაწილში, ორივე პროგრამისთვის 2.2.; 2.3.; 2.4 კომპონენტი, ექსპერტმა საბჭოზე პრეზენტაციის სახით წარმოადგინა დაწესებულების შედარებითი-შეფასება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში მეტწილად იყო შეფასებული 1.2.; 4.1 და 5.2. კომპონენტები, ამ ეტაპზე, აღნიშნული შეფასდა, როგორც სრულ შესაბამისობაში, ექსპერტის თქმით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „საგამბანე განყოფილების ექსპლუატაცია“. წინა ვიზიტზე შეფასდა, „მეტწილად შესაბამისად“, ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით 2.2.; 2.3; 2.4 კომპონენტი, ამ ეტაპზე ორივე პროგრამის აღნიშნული კომპონენტები შეფასდა „სრულად შესაბამისად“.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა, ყველა ის რეკომენდაცია, რაც წინა ვიზიტის ფარგლებში გაიცა, ექსპერტმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინა, ექპერტთა შეფასების, შესაბამისობის 1.2.; 4.1.; 5.2.; ცხრილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში ,სადაც ყველა მითითებულ კომპონენტში შეფასება იყო,რომ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს,ასევე წარმოდგენილი იყო, მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი,ექსპერტმა აღნიშნა რომ ერთგვარად ხდება,შეფასება,განსხვავება იყო, მხოლოდ პროგრამის მოცულობაში. თამარ რემიშვილმა ასევე წარმოადგინა დაწესებულების ფოტოები, მათი ინფრასტრუქტურა A,B,C გარემოსთან ერთად, რაც სხვა ექსპერტების მხრიდანაც დადებითად იყო შეფასებული.
ნანა ყუფუნიამ მიმართა დარგის ექსპერტს, სურვილის შემთხვევაში დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია, ჩატარებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა იმაზე, წინა წარმოების დროს, რატომ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, მან აღნიშნა რომ ხარვეზი ძირითადად იყო პრაქტიკის ობიექტებთან მიმართებით, რადგან დაწესებულებას გააჩნია თავის მფლობელობაში საწვრთნელი გემი, რომელსაც იყენებს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტების უზრუნველსაყოფად, თუმცა მისი თქმით, იმ რაოდენობისთვის, რა კვოტაც არსებობდა ორივე პროგრამისთვის, ჩაითვალა რომ არ იყო საკმარისი. ექსპერტმა აღნიშნა რომ, დაწესებულას, წინა

წარმოების დროს პრაქტიკა ოთხცვლიან რეჟიმში ჰქონდა გადანაწილებული, ამიტომაც ჩაითვალა, რომ არ იყო საკმარისი, ამიტომაც წინა მონიტორინგის ფარგლებში მიეცა რეკომენდაცია მოეძიებინა დამატებითი პრაქტიკის ობიექტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემდეგი წარმოების დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული ჰქონდა გემთმფლობელ კომპანია „ელემენტესთან". მისი თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია და ეს საკმარისი იქნება 60 პროფესიულ სტუდენტთან პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, როგორც დარგის ექსპერტმა აღნიშნა დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსი სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისია. უზრუნველყოფილია A,B,C გარემოთი, ასევე აღნიშნა რომ სასწავლებელს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს აუზისათვის წვრთნების განსახორციელებლად „ეკვატორთან", დარგის ექსპერტმა, იქვე აღნიშნა რო მათ დახვდათ, ასევე განახლებული სამედიცინო და ლინგოფონის კაბინეტები, ასევე გათვალისწინებული იყო ვერიფიკაციასთან დაკავშირებული რეკომენდაცია და ექსპერტებს დაახვედრეს გეგმა პროცესის წარმოებისთვის, როგორც ექსპერტმა აღნიშნა დაწესებულებას, ასევე დანერგილი აქვს ISO სტანდარტი და აგრეთვე დახვდათ მაკორექტირებელი გეგმაც.

ვიზიტის დროს გაიცაგანმავითარებელი რეკომენდაცია

4.1.1.2. რეკომენდირებულია ყველა სტრუქტურული ერთეული/პირი ეფექტურად ჩაერთოს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის დანერგვის პროცესში. თამარ რემიშვილმა ასევე წარმოადგინა დაწესებულების ფოტოები,მათი ინფრასტრუქტურა A,B,C გარემოსთან ერთად,რაც სხვა ექსპერტების მხრიდანაც დადებითად იყო შეფასებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პოზიტიური შეფასებისთვის, მან აღნიშნა რომ ისინი იზიარებენ ექსპერტთა რეკომენდაციებს, ამ მიზნით, მათ შემუშავებული და წარდგენილი აქვთ პროექტზე პასუხად შემუშავებული ხარისხის კულტურის დანერგვისა და ამაღლების ეფექტური ჩართულობისთვის პერსონალის სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრების გეგმა-პროექტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში (ს/კ:245539403) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა, სიტყვა გადასცა ნინო თამაზაშვილს და წარმატებები უსურვა.
ექსპერტის განცხადებით, წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, რადგან 2.2. კომპონენტი სტანდარტის მოთხოვნებთან შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, საგანმანათლებლო დაწესებულებების შუამდგომლობით დაინიშნამონიტორინგი, მიმდინარე წლის 16 ივნისს, მისი თქმით, წინა ვიზიტისას ექსპერტებმა დააფიქსირეს შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადებში პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას, მიმდინარე ვიზიტისას გადამოწმდა მატერიალური რესურსის არსებობა, როგორც მატერიალურად, ასევე მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შესყიდვები,მიღება-ჩაბარების აქტები).
ექსპერტმა აღნიშნა რომ პირველი ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2.2. კომპონენტის ფარგლებში, 1-ლი ინდაკოტორის თანახმად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების სასწავლო საწარმოს პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ექსპერტის თქმით, პროგრამაზე სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობაა 28 პროფესიული სტუდენტი,დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის განხორციელებას ორ ცვლაში.
ექსპერტი განცხადებით, „თმის მომსახურების “მოდულური პროგრამისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ორი გარემო A/C და B გარემო, მათ შორის, B გარემოს აღჭურვილობა გათვლილია 14 პროფესიული სტუდენტზე. ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა ფოტო მასალა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტბთან ი.მ.-სთან და შპს „სეპალს“ სალონთან. სალონს აქვს 5 სარკიანი სავარძელი და ასევე სასწავლო სივრცე სტუდენტებისთვის და შეუძლია 20 სტუდენტი ერთდროულად მიიღოს ორ ცვლაში. ექსპერტის თქმით, დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერილაური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა იმის დადასტურების შესაძლებლობას, რომ მე-2 ინდიკატორი შესაბამისობაშია, ასევე მე-4 ინდიკატორის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ის მიერ განსაზღვრული

შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც იცნობს თავის ფუნქცია-მოვალეობებს.
ექსპერტმა პრეზენტაციის პროცესში აღნიშნა, რომ დაწესებულებას მე-6 ინდიკატორის თანახმად სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. აქვე აღინიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური განათლების მასწავლებელი. ექსპერტმა მე-7 ინდიკატორთან მიმართებით აღინიშნა, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
ექსპერტმა ასევე პრეზენტაციაზე წარმოაჩინა საუკეთესო გამოცდილება, რომელიც ემსახურება, როგორც სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებას, ასევე პროფესიული განათლებისა და ცალკეული პროგრამების პოპულარიზაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ნინო თამაზაშვილს მოხსენებისთვის და დარგის ექსპერტს მიმართა პოზიციის დასაფიქსირებლად.
ნინო ბოკუჩავამ დაწესებულება დადებითად შეაფასა. მან აღნიშნა, რომ სასწავლებელი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიების უახლესი მოდელებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი**.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (ს/კ:216350829) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა..

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა, სიტყვა გადასცა ნინო თამაზაშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტმა აღნიშნა რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია“, რადგან 2.2. კომპონენტი სტანდარტის მოთხოვნებთან შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია“, ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დაინიშნა მონიტორინგი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში დააფიქსირეს შესაბამისობის რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადებში პროგრამაში განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების არსებობა, როგორც მატერიალურად, ასევე მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, იქვე აღინიშნა რომ „მეხილეობის“ პროგრამისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ერთი B, ერთი A/C გარემო, C გარემო (სათბური), ხოლო ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში აღნიშნულ გარემოს ემატება ლაბორატორია ინტერირებული მოდულებისთვის. ექსპერტის განმარტებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ A/C გარემოში მოწყობილია სამუშაო სივრცე 15 პროფესიული სტუდენტისთვის
დაწესებულებას გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულება პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
ექპერტმა, პრეზენტაციის პროცესში აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. გადამოწმებით დასტურდება, რომ სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა საუკეთესო გამოცდილების მაგალითებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს ნიკა ჯაფიაშვილს, რომ დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.
დარგის ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტი და ასევე გაესაუბრნენ მენეჯერს, დარგის ექსპერტმა კოლეჯის მატერიალური რესურსი დადებითად შეაფასა და წარმატებები უსურვა სასწავლებელს.
  დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დადებითი შეფასებისთვის და ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა იყო ინტრეგრირებული, მსგავსი სახის პროგრამა მარნეულში პირველად ხორციელდება, რაც რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომაც მათი მხრიდან პროფესიული სტუდენტების მოზიდვისთვის აქტიური საინფორმაციო კამპანია ჩატარდა,

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (ს/კ:216350829) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 15:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა